თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3115337

ნომერი: AR1478448

თარიღი : 15.02.2017

გაცემის თარიღი : 23.02.2017

გაცნობის თარიღი : 24.02.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი მარჯანიშვილის ქუჩა N16გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სალომე მგალობლიშვილი პ/ნ 01005016941
- თბილისი შ.რუსთაველის გამზ. N 24

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 15/02/2017 წლის AR1478448 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ, ქ. თბილისში,

მარჯანიშვილის ქუჩა N16გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღია საზაფხულო კაფის მოწყობის მიზნით, წერილობითი ნებართვის გაცემას, გაცნობებთ, რომ, დროებითი სტატუსის ღია კაფე გულისხმობს არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ მხოლოდ მაგიდა–სკამების, არსებობის შემთხვევაში ქოლგების და რიგი დეკორატიული ელემენტების განთავსებას (მაგ: დეკორატიული ზღუდარი, ქოთნები გამწვანებით). წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით ხდება არსებულ შენობა–ნაგებობაზე მიშენება, რაც არ ექვემდებარება ღია კაფის მოწყობას. აღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა განცხადება ატვირთოთ შესაბამის ნომენკლატურაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.